საშინაო დავალების გავლენა მოსწავლის ცხოვრებაზე

მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვის შედეგები

„მშობლები განათლებისთვის“

2020

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოს მასშტაბით ზოგადი განათლების საფეხურზე საშინაო დავალებასთან დაკავშირებული პრაქტიკების შესწავლა და მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე საშინაო დავალების გავლენის იდენტიფიცირება. ასევე, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულებების გამოვლენა საშინაო დავალების მიმართ.

კვლევის ამოცანები

- საშინაო დავალებასთან დაკავშირებული პრაქტიკების აღწერა;
- რა გავლენას ახდენს საშინაო დავალება მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე;
- მოსწავლეთა დამოკიდებულების შესწავლა საშინაო დავალების მიმართ;
- მშობლების დამოკიდებულება შესწავლა საშინაო დავალების მიმართ;

კვლევის მეთოდოლოგია

მონაცემთა შეგროვება

წინამდებარე კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდის გამოკითხვის საშუალებით, რისთვისაც გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ანკეტირება. კვლევაში მონაწილეობდნენ სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებიდან. რესპონდენტთა შერჩევისას დაცული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი ბალანსი. მთლიანობაში, კვლევაში მონაწილეობდა 404 რესპონდენტი.

მონაცემთა ნაწილი შეგროვდა პირისპირი, ჯგუფური ანკეტირებით, რა დროსაც მოსწავლეთა მშობლები ავსებდნენ კითხვარს სკოლაში (222 რესპონდენტი), ხოლო მშობელთა მეორე ნაწილი გამოვკითხეთ ელექტრონული კითხვარის საშუალებით (182 რესპონდენტი).

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზით დამუშავდა 31 რაოდენობრივი ცვლადი. სულ გაანალიზდა 405 რესპონდენტისგან მიღებული მონაცემები. ანალიზისთვის გამოვიყენეთ სპსს სტატისტიკური ანალიზის პროგრამა. თავდაპირველად, მოხდა

მონაცემთა ბაზის აგება, მონაცემების კოდირება და გაწმენდა. საკვლევ ამოცანებზე პასუხების მისაღებად გამოვიყენეთ აღწერითი სტატისტიკური ოპერაციები. კერძოდ, სიხშირული განაწილებები, ხი კვარდატის ტესტი, ჯგუფებს შორის განაწილებები. მიღებული შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p<0.05$ დონეზე.

ძირითადი მიგნებები

- მოსწავლეების აბსოლუტურ უმრავლესობას ყოველდღიურად აქვს შესასრულებელი საშინაო დავალება, რასაც საშუალოდ 2-3 საათს უთმობენ.

- მათემატიკის, ქართული ენისა და უცხოური ენის საშინაო დავალებების შესრულებას ყველაზე მეტი დრო სჭირდება.

- მოსწავლეების უმრავლესობა სახლში მეცადინეობს და მათ საშინაო დავალების შესრულებაში ოჯახის წევრები ეხმარებიან.

- კერძო სკოლის მოსწავლეებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ საშინაო დავალების შესასრულებლად, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შედარებით, ასევე, საბაზო საფეხურის მოსწავლეები ყველაზე მეტ დროს უთმობენ საშინაო დავალების შესრულებას.

- საშუალო საფეხურის მოსწავლეების შემთხვევაში, ყველაზე ხშირია ძილის შეფერხების შემთხვევები საშინაო დავალებების გამო. ასევე, მათ შორის ყველაზე მაღალია იმ მოსწავლეთა წილი, რომლებსაც საერთოდ არ რჩებათ თავისუფალი დრო საშინაო დავალებების შესრულების შემდეგ.

- მოსწავლეთა თითქმის მესამედი ნაწილისათვის საშინაო დავალება მოსაწყენი და უინტერესოა. ასევე, ისინი იძულებით ასრულებენ საშინაო დავალებებს.

- სასწავლო საფეხურის ზრდასთან ერთად სულ უფრო მცირდება მოსწავლეების პოზიტიური დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ. ასევე, საშინაო დავალებას უფრო მეტი ხალისით და ინტერესით ასრულებენ საჯარო სკოლის მოსწავლეები. აქვე, მაღალმთიან სოფლებში ყველაზე ხშირია საშინაო დავალებების მიმართ მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულება.

- მოსწავლეები ყველაზე ხშირად ემზადებიან უცხოურ ენასა და

მათემატიკაში.

- რაც უფრო მაღალია ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი, მით უფრო მეტ თანხას ხარჯავს მოსწავლის მომზადებაში.

- საჯარო სკოლის მოსწავლეები უფრო აქტიურად ემზადებიან რეპეტიტორთან, კერძო სკოლის მოსწავლეებთან შედარებით.

- გამოკითხული მშობლების მესამედი საჭიროდ არ მიიჩნევს საშინაო დავალების ყოველდღიურად შესრულებას.

- საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებს ყველაზე ხშირად უჩნდებათ პროტესტი მათი შვილისათვის დიდი რაოდენობით საშინაო დავალების მიცემის გამო.

კვლევის შედეგების ანალიზი

გამოკითხული რესპონდენტების დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის პროცესში გამოკითხული რესპონდენტები წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტიდან. უფრო კონკრეტულად, რესპონდენტების უმრავლესობა 24.5% წარმოადგენდა თბილისს, ხოლო ყველა სხვა მუნიციპალიტეტის მაჩვენებელი მერყეობს 8-10%-ს შორის.

ცხრილი N1. მუნიციპალიტეტი	
1. თბილისი	24.6 %
2. კახეთი	9.7 %
3. იმერეთი	8.7 %
4. გურია	8.7 %
5. სამეგრელო ქვემო სვანეთი	8.4 %
6. შიდა ქართლი	8.2 %
7. აჭარა	8.2 %
8. სამეგრელო ზემო სვანეთი	7.9 %
9. სამცხე-ჯავახეთი	7.9 %
10. ქვემო ქართლი	7.7 %

გამოკითხული რესპონდენტების 91.8% წარმოდგენილი იყო ქალაქიდან, 2.7% სოფლიდან, ხოლო 5.5% მაღალმთიანი სოფლიდან. კვლევაში მონაწილე მშობლებს ჰყავთ შვილები სწავლების სამივე საფეხურზე და თითოეული საფეხურიდან წარმოდგენილი მშობლების რაოდენობა თითქმის თანაბარია (იხილეთ დიაგრამა N1).



კვლევის მონაწილეების 88.1% წარმოდგენილი იყო საჯარო სკოლიდან, ხოლო 11.9% კერძო სკოლიდან. რაც შეეხება, გამოკითხული რესპონდენტების შემოსავლებს, მათი უმრავლესობისთვის ოჯახის ყოველთვიური შემოსავლები მერყეობს 500-დან 1000 ლარამდე (იხილეთ დიაგრამა N2).



საშინაო დავალებასთან დაკავშირებული პრაქტიკების აღწერა

გამოკითხული მშობლების 92.6% აღნიშნავს, რომ მათ შვილებს ყოველდღიურად აქვთ შესასრულებელი საშინაო დავალება, ხოლო 7.4% აღნიშნავს, რომ, მათი შვილების შემთხვევაში, საშინაო დავალებას არ აქვს ყოველდღიური ხასიათი.

მშობლების 60.1% აღნიშნავს, რომ მათ შვილებს დღეში საშუალოდ 3-4 საგანში აქვთ საშინაო დავალება შესასრულებელი. სხვა მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამა N3-ზე.



რაც შეეხება დავალების შესრულების დროს, მოსწავლეების ძირითადი ნაწილი საშინაო დავალების შესრულებას ორ (30.6%) ან სამ (29.1%) საათს ანდომებს (იხილეთ დიაგრამა N4).



კვლევაში მონაწილე მშობლების უმრავლესობა ანუ 60.8% აღნიშნავს, რომ მათ შვილს იშვიათად სჭირდება დახმარება საშიანო დავალების შესასრულებლად. დავალების შესრულებაში დახმარებას მოსწავლეთა 25% საჭიროებს. უმეტეს შემთხვევაში, მათ დავალების შესრულებაში მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები ეხმარებიან (52.3). კვლევაში ჩართული მოსწავლეების 16.5% იყენებს როგორც რეპეტიტორის, ისე ოჯახის წევრების დახმარებას. მხოლოდ რეპეტიტორის დახმარებით კი მოსწავლეთა 5.3% ასრულებს საშინაო დავალებას.

ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ანუ 92.5% სახლში მეცადინეობს. 5% რეპეტიტორთან ასრულებს საშინაო დავალებებს, ხოლო 2.5% გახანგრძლივებულ ჯგუფში მეცადინეობს.

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია იმისა შესახებ, თუ რომელი საგნის საშინაო დავალების შესრულებას ანდომებენ მოსწავლეები ყველაზე მეტ დროს. როგორც ცხრილიდან იკვეთება, საშინაო დავალების შესრულებას ყველაზე მეტი დრო სჭირდება მათემატიკაში (35.8%). ქართულ ენასა(20.5%) და უცხოურ ენაში 10.6%.

ცხრილი N2. რომელი საგნის საშინაო დავალებას ანდომებს ყველაზე მეტ დროს?	
1. მათემატიკა	42.2 %
2. ქართული	24.1%
3. უცხოური ენა	12.5%
4. ისტორია	10.2%
5. ფიზიკა	3.2%
6. ბუნება	2.3%
7. გეოგრაფია	2.3%
8. ქიმია	1.7%
9. მე და საზოგადოება	0.9%
10. ბიოლოგია	0.6%

აქვე, მშობლებს ვთხოვეთ გამოეთქვათ მოსაზრებები თუ რატომ ანდომებს მათი შვილი ამა თუ იმ საგნის მომზადებას დიდ დროს. რესპონდენტები ძირითადად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს დიდი მოცულობით საშინაო დავალება აქვთ ამა თუ იმ საგანში. უფრო კონკრეტულად, დიდია სავარჯიშოების რაოდენობა ან დასამუშავებელი ტექსტის მოცულობა. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეები კარგად ვერ ხვდებიან დავალების აზრს ან ვერ გაიგეს ესა თუ ის საკითხი, რომელიც მასწავლებელმა აუხსნა. შესაბამისად, უჭირთ დავალების შესრულება. გარდა ამისა, როდესაც დავალებები ერთფეროვანი და უინტერესოა მოსწავლეებს გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ მათ შესასრულებლად.

გამოკითხული მშობლების უმრავლესობა 71.6% აღნიშნავს, რომ მათ შვილებს აქვთ მეცადინეობისათვის შესაფერისი პირობები სახლში, 25.8% მიუთითებს, რომ შვილებისათვის საჭირო პირობების შექმნას ნაწილობრივ ახერხებენ. მხოლოდ გამოკითხულთა 2.6% აღნიშნავს, რომ მათ შვილებს მეცადინეობისთვის საჭირო პირობები სახლში არ გააჩნიათ.

საშინაო დავალების გავლენა მოსწავლის ცხოვრებაზე

კვლევის პროცესში ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გაგვერკვია რა გავლენას ახდენს საშინაო დავალება მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რჩება თუ არა მას თავისუფალი დრო სხვა კლასგარეშე აქტივობებისათვის, ხომ არ ეშლება ხელი მის სრულფასოვან ძილს.

როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ მოსწავლეების ძირითადი ნაწილი საშინაო დავალების შესრულებას ორ (30.6%) ან სამ (29.1%) საათს ანდომებს. საინტერესოა, განსხვავებები სკოლის ტიპის მიხედვით, როგორც აღმოჩნდა, კერძო სკოლების შემთხვევაში, მოსწავლეების უმრავლესობა ანუ 39.6% საშინაო დავალების შესრულებას საშუალოდ სამ საათს უთმობს, ხოლო საჯარო სკოლის მოსწავლეების უმრავლესობას ერთი საათით ნაკლები სჭირდება ყოველდღიური დავალებების შესასრულებლად (30.8%).

საინტერესოა, რომ საშინაო დავალების შესრულებას ყველაზე მეტ დროს საბაზო საფეხურის მოსწავლეები უთმობენ. მათ 50%-ს 3-4 და მეტი საათი სჭირდება საშინაო დავალების შესასრულებლად. როგორც მოსალოდნელი იყო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ყველაზე ცოტა დროს უთმობენ საშინაო დავალების შესრულებას. მათი უმრავლესობა 54.3% ერთ ან ორ საათს ანდომებს დავალების მომზადებას.

შესაბამისად, კვლევაში დავინტერესდით თუ რამდენად რჩებათ მოსწავლეებს თავისუფალი დრო ყოველდღიურად, საშინაო დავალებების მომზადების შემდეგ. როგორც დიაგრამა N5-ზე ხედავთ, მოსწავლეების უმრავლესობას სამი და მეტი საათი რჩება საშინაო დავალებების შესრულების შემდეგ, თუმცა მოსწავლეების 20%-ს საერთოდ არ რჩება თავისუფალი დრო, რაც ნამდვილად საყურადღებო შედეგია.



რაც შეეხება ჯგუფებს შორის განსხვავებებს, სხვა საფეხურის მოსწავლეებთან შედარებით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ყველაზე მეტად არ რჩებათ თავისუფალი დრო (26.1%). ასევე, საჯარო სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში უფრო მაღალია იმ მოსწავლეების წილი, რომელთაც საერთოდ არ რჩებათ თავისუფალი დრო (20.4%), შედარებით კერძო სკოლის მოსწავლეთა იგივე მაჩვენებლებთან (18%). როგორც ვხედავთ, საშინაო დავალების შესრულებაზე დახარჯული დრო არ არის მჭირდოდ დაკავშირებული მოსწავლის თავისუფალი დროის რაოდენობასთან. აქ ალბათ გასათვალისწინებელია, ის დრო რასაც მოსწავლეები რეპეტიტორებთან მომზადებას უთმობენ. იმის გამო, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეები უფრო აქტიურად ემზადებიან რეპეტიტორებთან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, მათ ყველაზე ნაკლები თავისუფალი დრო რჩებათ ყოველდღიურად.

ასევე, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეების 84.9%-ს არ აქვს ძილის შეფერხება საშინაო დავალების გამო (იხილეთ დიაგრამა N6).



დავამატებთ, რომ ძილის შეფერხების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის - 18.8%. ასევე, საკმაოდ მცირეა განსხვავება კერძო და საჯარო სკოლებს შორის, თუმცა კერძო სკოლების შემთხვევაში დაახლოებით 2%-ით მაღალია ძილის შეფერხების შემთხვევების წილი.

მოსწავლის დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ

კვლევის პროცესში ასევე გვსურდა გაგვერკვია თუ როგორ აღიქვამს მოსწავლე საშინაო დავალებას და როგორი დამოკიდებულებით ასრულებს მას. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების უმრავლესობისათვის (68.6%) საშინაო დავალება საინტერესო და მრავალფეროვანია. მოსწავლეთა 62.4% საშინაო დავალებებს ხალისით ასრულებს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი უარყოფითად განწყობილ მოსწავლეთა წილიც. მოსწავლეთა 31.4%-ს საშინაო დავალება მოსაწყენად და ერთნაირად ეჩვენება, 37.6% კი საშინაო დავალებებს იძულებით ასრულებს (იხილეთ დიაგრამა N7 და N8).





აღმოჩნდა, რომ სწავლის საფეხურის ზრდასთან ერთად, თანდათანობით იკვლევს მოსწავლეების დაინტერესება საშინაო დავალებების მიმართ. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლები თვლიან, რომ დავალება საინტერესო და მრავალფეროვანია (76%), ხოლო საშუალო საფეხურზე ეს მაჩვენებელი 60%-მდე მცირდება. ასევე, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები უფრო მეტი ხალისით ასრულებენ საშინაო დავალებას (70%), საშუალო საფეხურზე კი ასეთი მოსწავლეების წილი მხოლოდ 54%-ია. როგორც ჩანს, მოსწავლეები პოზიტიური

დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ კლასიდან-კლასში გადასვლისის სულ უფრო მცირდება.

გარდა ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ყველაზე მეტი ხალისით ასრულებენ საშინაო დავალებას და მათი უმრავლესობა საშინაო დავალებას საინტერესოდ და მრავალფეროვნად აღიქვამს. როგორც ჩანს, რაც უფრო მეტია მოსწავლის აკადემიური მოსწრება, მით უფრო პოზიტიურია მისი დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ.

რაც შეეხება განსხვავებებს დასახლების ტიპის მიხედვით, საინტერესოა, რომ მაღალმთიანი სოფლის მოსწავლეებს შორის ყველაზე მაღალია საშინაო დავალების მიმართ პოზოტიური დამოკიდებულების მაჩვენებელი. მათი 77.3%-სთვის საშინაო დავალება საინტერესო და მრავალფეროვანია, 68.2% კი დავალებას ხალისით ასრულებს.

გარდა ამისა, დავამატებთ, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის საშინაო დავალება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანია (70.3%) და მეტი ხალისით ასრულებენ (63.9%), კერძო სკოლის მოსწავლეებთან შედარებით.

რეპეტიტორი

გამოკითხული რესპონდენტების 48.6% აღნიშნავს, რომ შვილს არც ერთ საგანში არ ამზადებს. 22.6% კი მიუთითებს, რომ მათი შვილის ერთ საგანში ემზადება (იხილეთ დიაგრამა N9).



გამოკითხული რესპონდენტები ყველაზე უფრო ხშირად მოსწავლეებს უცხოურ ენაში ამზადებენ (56.6%), ასევე მაღალია მათემატიკაში მომზადების მაჩვენებელი (31.1%) - იხილეთ ცხრილი N3.

ცხრილი N3. რომელ საგანში ამზადებთ რეპეტიტორთან	
1. უცხოური ენა	56.6%
2. მათემატიკკა	31.1%
3. ქართული ენა	7.7%
4. ფიზიკა	1.5%
5. ქიმია	1.5%
6. ისტორია	1.5%

გარდა ამისა, კვლევის პროცესში, რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ თუ რა რაოდენობის თანხას ხარჯავენ ყოველთვიურად საკუთარი შვილების რეპეტიტორთან მოსამზადებლად. აღმოჩნდა, რომ მშობლების 49% საერთოდ არ ხარჯავს ფულს მოსწავლის მომზადებაში, 18.9% კი 100 ლარზე ნაკლებს ხარჯავს ყოველთვიურად (იხილეთ დიაგრამა N10).



კვლევის პროცესში გამოიკვეთა კავშირი ოჯახის ყოველთვიურ შემოსავლებსა და ყოველთვიურად მომზადებაში დახარჯულ თანხას შორის. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალია ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი მით უფრო მეტ ფულს ხარჯავს შვილის მომზადებაზე და აღნიშნული კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p<0.0.5$ დონეზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სკოლის მოსწავლეთა 73.3%-ს არ ჰყავს რეპეტიტორი, ხოლო საჯარო სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 45.3%-ია.

მშობლების დამოკიდებულება საშინაო დავალების მიმართ

შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მშობლების 91.5% მიიჩნევს, რომ მოსწავლეებისათვის საშინაო დავალება აუცილებელია, შედარებით მცირეა იმ მშობლების წილი, რომელიც საშინაო დავალებას ყოველ გაკვეთილზე აუცილებლად მიიჩნევს (62.2%). აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მშობლების 37.8% საშინაო დავალების ყოველ გაკვეთილზე მიცემას საჭიროდ არ მიიჩნევს.



აქვე, უნდა დავამატოთ, რომ მშობლების 76.5 %-სთვის მისაღებია საშინაო დავალების ფორმა და რაოდენობა, თუმცა 23.5%-სთვის არ არის მისაღები მათი შვილებისათვის მიცემული დავალების ფორმა და ასევე რაოდენობა.

საინტერესოა, რომ კვლავაც საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებს შორის ყველაზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი საშინაო დავალების ყოველ გაკვეთილზე არსებობას საჭიროდ არ მიიჩნევენ (41.2%). ასევე, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების 25%-სთვის მიუღებელია დავალების ფორმა და რაოდენობა.

კვლევის პროცესში დავინტერესდით გამოუთქვამთ თუ არა მშობლებს პროტესტი ჭარბი ან მცირე რაოდენობის საშინაო დავალების გამო. აღმოჩნდა, რომ მშობლების 20.6%-ს ჰქონია პროტესტი მისი შვილისათვის ჭარბი რაოდენობით საშინაო დავალების მიცემის გამო, თუმცა არ გამოუხატავს, 6.9%-მა კი პროტესტი მხოლოდ სხვა მშობლებთან გამოხატა და არ მიუმართავს სკოლის ადმინისტრაციის ან მასწავლებლისათვის (იხილეთ დიგრამა N13).



დიაგრამა N13. პროტესტი ჭარბი რაოდენობით დავალების გამო

რაც შეეხება მცირე რაოდენობით საშინაო დავალებას, მშობლების 12.8 ჰქონია ასეთი პროტესტი, თუმცა არ გამოუხატავს, 75.8%-ს არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა (იხილეთ დიაგრამა N14).



რაც შეეხება ჯგუფებს შორის განსხვავებებს, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლების ყველაზე ნაკლებად უჩნდებათ პროტესტი ჭარბი ან მცირე რაოდენობით საშინაო დავალების გამო. ასევე, მცირე ან დიდი მოცულობის საშინაო დავალების მიმართ პროტესტი ყველაზე ხშირად საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლებს უჩნდებათ. აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $p<0.05$ დონეზე. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტის გამოხატვის პრაქტიკებთან დაკავშირებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა ოჯახის შემოსავლებისა და დასახლების ტიპის მიხედვით.

თვისებრივი ნაწილი

კვლევის პროცესში, მოსწავლეთა მშობლებს მივეცით შესაძლებლობა, რომ თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი საშინაო დავალებასთან დაკავშირებით. გამოკითხული მშობლები აღნიშნავენ, რომ არ არის აუცილებელი მოსწავლეს ყოველდღიურად, ყველა საგანში ჰქონდეს საშინაო დავალება. ამის ნაცვლად, საშინაო დავალება უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ მიზანს, უნდა იყოს სწორად შერჩეული და ადეკვატური მოცულობის. ასევე, აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად დარჩეთ დრო სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებისათვის, იქნება ეს სპორტი, სახელოვნებო წრეები თუ სხვა ტიპის აქტივობები, რათა მოხდეს მოსწავლის სრულფასოვანი განვითარება. აქვე, უნდა

აღინიშნოს, რომ მშობლები საუბრობენ მოსწავლეებს შორის მოტივაციის დაქვეითებაზე. მათი თქმით, მასწავლებელი აუცილებლად უნდა ასწორებდეს საშინაო დავალებას, აძლევდეს მოსწავლეს განმავითარებელ უკუკავშირს, რათა მოსწავლეს მეტი მოტივაცია ჰქონდეს საშინაო დავალების შესასრულებლად.

ამასთანავე, მშობლები საუბრობენ, რომ საშინაო დავალება მორგებული უნდა იყოს ინდივიდუალური მოსწავლის ინტერესებს, დავალებებს არ უნდა ქონდეს ყოველდღიურად მსგავსი სახე, მოსწავლეს უნდა უწევდეს სხვადასხვა სახის, საინტერესო და მრავალფეროვან დავალებებზე მუშაობა, რათა მისი მოტივაცია და სწავლისადმი ინტერესი გაიზარდოს. ასევე, მათი აზრით, თუ მასწავლებელი საკლასო ოთახში შეასრულებს საშინაო დავალებად მიცემული სავარჯიშოს მსგავს ანალოგს, ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში და აღარ შემცირდება მათი მოტივაცია დავალების სირთულისა და ბუნდოვნების გამო.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „საშინაო დავალებას უარყოფითი მხარეც აქვს. მაგალითად, დაღლილობის გამო მოსწავლის მოტივაცია იკლებს; ხშირად დაძაბულობის და უსიამოვნების მიზეზი ხდება მოსწავლესა და მშობელს შორის; ამ რისკების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ არ არის აუცილებელი ბავშვებს ყველა საგანში ყოველდღიურად ჰქონდეთ საშინაო დავალება. ან თუ ეს მნიშვნელოვანია, დაავალონ ბავშვებს ღირებულებითი განათლების პროექტების შესრულება, მაგალითად, სიკეთის გაკეთება და შემდეგ ამის აღწერა. ან პრაქტიკული პროექტები: ეზოში სპორტული მოედნის აზომვა, მისი პერიმეტრის გამოთვლა და ა.შ. ესეც საშინაო დავალებაა, მაგრამ ხალისით შეასრულებდა ბავშვი.“

საბაზო საფეხურის მოსწავლის მშობელი მაღალმთიანი სოფლიდან: საშინაო დავალებით ცოდნის განმტკიცება ხდება და აუცილებელია, მაგრამ ასევე, აუცილებელია, სკოლამ შეიმუშაოს მიდგომა, რომ მასწავლებლები კოორდინირებულად მუშაობდნენ და აძლევდნენ იმ რაოდენობის დავალებებს სხვადასხვა საგნებში, რომ ბავშვს თავისუფალი დროც რჩებოდეს თამაშისა და გართობისთვის“.

საშუალო საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „მე-12 კლასში გაკვეთილები თითქმის არ ტარდება. მასწავლებლების თქმით

ეცოდებათ ბავშვები და არ ტვირთავენ ზედმეტად ისინი ხომ ყველა საგანში ემზადებიან, შესაბამისად დავალებებიც არ აქვთ, სკოლაში სიარული მხოლოდ დაკარგული დროა, იმიტომ დადიან რომ ექსტერნი არ გამოყვეთ და სულ გაცდენილი საათების თვლაში არიან.“

დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „ჩემი აზრით, მოსწავლისათვის საშინაო დავალების მიცემა აუცილებელია, თუმცა მისი მოცულობა უნდა იყოს გონივრული. ამასთან, რა თქმა უნდა, თემა წინასწარ უნდა იყოს ახსნილი და დამუშავებული. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა მასწავლებელი კლასს დავალებას აუხსნელად აძლევს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საშინაო დავალება შეამოწმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვს იმედგაცრუება ეპარება და მოტივაცია ეკარგება.“

დაწყებითი კლასის მოსწავლის მშობელი კახეთიდან: „საშინაო დავალება მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო პროცესში, თუმცა ეს არ უნდა იქცეს ტვირთად მოსწავლისთვის. სამწუხაროდ, საშინაო დავალება მოსწავლის თავისუფალი დროის ხარჯზეა. მოსწავლეს არ რჩება დრო დასვენებისთვის, თამაშისთვის.“

საგაზო საფეხურის მოსწავლის მშობელი მაღალმთიანი სოფლიდან: „ვფიქრობ, საშინაო დავალება უნდა იყოს სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვანი, რომ მოსწავლემ ხალისით შეასრულოს. არ უნდა იყოს ჭარბი რაოდენობით.“

დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი ქვემო ქართლიდან: „მე სხვა მეთოდებით მასწავლიდნენ ამა თუ იმ საგანს, ამათ სულ სხვა მეთოდები აქვთ, რასაც ვერ ვუმკლავდები. იძულებული ვარ რეპეტიტორი სახლში მოვიდეს და ამეცადინოს ბავშვები“

დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „საშინაო დავალებები ამ ფორმით, როგორც ახლა აქვთ მოსწავლეებს მაგ., ტექსტის ბოლოს კითხვებზე პასუხი და ა.შ. უინტერესოა. ვფიქრობ, კარგი იქნება მოსწავლეებს ჰქონდეთ პროექტული ტიპის დავალებები, რის მომზადების პროცესშიც განმავითარებელ უკუკავშირს მიიღებენ მასწავლებლისგან.“

საგაზო საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „არ აქვს აზრი უამრავი სავარჯიშოს კეთებას სახლში, რომელსაც სკოლაში არავინ ამოწმებს და გაუგებარია რას ემსახურება. თუ მასწავლებელი არ შეამოწმებს საშინაო დავალებას, როგორ უნდა მიხვდეს, რა გაიგეს ბავშვებმა და რა არა. მეორე მხრივ, თუ ბავშვს მშობელი

ან რეპეტიტორი ეხმარება დავალების დაწერაში, კვლავ გაუგებარია, რა ასწავლა მასწავლებელმა და რას ისახავს მიზნად მის მიერ მოცემული საშინაო დავალება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დავალებას მშობლებს აძლევენ, რომ მშობლებმა ასწავლონ ბავშვებს.“

საგაზო საფეხურის მოსწავლის მშობელი თბილისიდან: „სურვილი მაქვს მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეს საშინაო დავალებაში შესასრულებელი საკითხები. მაგალითად, მიუთითოს როგორ შეასრულოს დავალებები და გაითვალისწინოს ის, რომ ეს არის მოსწავლის შესასრულებელი და არა მისი მშობლის.“

დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი ქვემო ქართლიდან: „საშინაო დავალების მიცემის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლის უნარები და ინტერესები. დავალებას მოსწავლე ხალისით უნდა ასრულებდეს და არა ტანჯვით. რაოდენობაც არ უნდა იყოს დიდი. და ყველა დავალება რაც მიეცემა მოსწავლეს, უნდა მოწმდებოდეს, ეძლეოდეს უკუკავშირი.“

რეკომენდაციები

საქართველოში ჩატარებულმა მშობელთა გამოკითხვამ საშუალება მოგვცა საშინაო დავალებასთან დაკავშირებით მშობლებსა და მასწავლებლებს რეკომენდაციები გავუზიაროთ. კერძოდ, რა უნდა გაითვალისწინონ მათ საშინაო დავალების შედგენისას, მიცემისას, შესრულების მეთვალყურეობისა და უკუკავშირის გაცემისას.

რეკომენდაციები მასწავლებლებს:

საშინაო დავალების მიცემისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოზარდის უნარები, ინტერესები, ცოდნის დონე, სოციალური ფონი, ინდივიდუალური შესაძლებლობები. მან ზუსტად უნდა განსაზღვროს დავალების მიზანი, ფორმა, მოცულობა, დიფერენცირების პრინციპი, შეადგინოს ინსტრუქტაჟი და ასე მიიტანოს მოსწავლემდე;
• სასურველია მასწავლებელმა გაითვალისწინოს დავალების გადაწყვეტის მრავალფეროვანი გზები და არჩევანის თავისუფლება მისცეს ბავშვებს. თუ პედაგოგი საშინაო დავალებას თანდათან გაართულებს დიფერენცირების პრინციპი გართულების დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას;

• უკვე ათვისებულ ცოდნასა და უნარებზე დავალების მიცემა, უინტერესოს და ნაკლებმამოტივირებელს გახდის მას და არსებობს საფრთხე, მოსწავლემ არ შეასრულოს იგი. მოსწავლეებს საშინაო დავალებებს არ გაურბიან, უბრალოდ კარგი იქნება, თუ მრავალფეროვან, სხვადასხვა ტიპის დავალებებს მოძებნიან მასწავლებლები.
• სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლე აქტიურად ჩართოს დავალების შერჩევის, ორგანიზებისა და შეფასების პროცესში, ისე, რომ მან აქცენტირება გააკეთოს პირად გამოცდილებაზე. დავალების ტიპები და შინაარსი უფრო მისაწვდომი გახდება, თუ მოსწავლე თავად გადაჭრის პრობლემას და პრაქტიკულად მიღებულ გამოცდილებას დაუკავშირებს ახალ ცოდნას. ამით, საშინაო დავალების შესრულებისას არსებული გართულებები, რაც კვლევის შედეგადაც გამოვლინდა, თავიდან იქნება აცილებული.
• კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა უყურადღებობას, მოდუნებას და დავალებისადმი ინდიფერენტიზმს იწვევს ორგანიზების ფორმაც. მეტი მრავალფეროვნებისა და მოტივაციისთვის კარგი გამოსავალია სხვადასხვა დავალების ირგვლივ სოციალიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება: ჯგუფური, წყვილში მუშაობა, ინდივიდუალური. სასურველია, მასწავლებელმა საშინაო დავალების მიცემის დროს ცვალოს ორგანიზების ფორმა. მეტი მოტივაციისთვის, მოსწავლეები მონაცვლეობით ამუშაოს ჯგუფურად, წყვილში, ინდივიდუალურად. ორგანიზების ფორმათა ეს მონაცვლეობა დამღლელი არ იქნება მოსწავლისათვის და თანატოლებთან ერთად უკეთ გაართმევს თავს დავალებას. ასევე, სასურველია, დავალების შესრულების პროცესში მასწავლებელმა ჩადოს განტვირთვის აქტივობებიც, რაც პროცესს სახალისოს გახდის.

რეკომენდაციები მშობლებს:

•

მასწავლებელთა რეკომენდაციები ვერ შესრულდება, თუ პროცესში მონიტორინგის თვალი მშობელი არ გახდა და ამ ყველაფერს არ დააკვირდა. საშინაო დავალების შესრულების პროცესში მისი ჩართულობა მისი შვილის სწავლის ხარისხის ამაღლების პირდაპირპროპორციულია.
• მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ინფორმაციას მისი შვილის უნარების, ინტერესების, საჭიროებების, სოციალური ფონის და ა.შ. შესახებ მისგან იღებს მასწავლებელი და რაც შეიძლება სტრუქტურიზებულად და დროულად უნდა მიაწოდოს იგი საგნის პედაგოგს.

• მშობელი აქტიურად უნდა ადევნებდეს თვალს საშინაო დავალების შესრულების პროცესს, თანამშრომლობდეს მასწავლებელთან და ერთგვარი გეზის მიმცემი იყოს შვილისა და მისი თანატოლებისათვის. რამდენიმე მოსწავლისგან შექმნილ ჯგუფში, მშობლების ჩართვა, მეტი ალტერნატიული გზის დანახვის შესაძლებლობას იძლევა და პრობლემის გადაჭრის უკეთეს გზებს სთავაზობს მოსწავლეებს.
• დავალების შედგენის აქტივობაში ჩართული მოსწავლე მშობელს ადვილად აგებინებს ახალი მასალის მოთხოვნებს და მასთან ერთად სახავს დავალების შესრულების უკეთეს ვარიანტებს. რის მეშვეობითაც, უკვე, საშინაო დავალება შეიძლება განვიხილოთ შვილის აკადემიური პროგრესის მონიტორინგის, სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობად. საშინაო დავალება მშობელს ინფორმაციას აწვდის ბავშვის აკადემიური განვითარების, მის წინაშე მდგომი სირთულეების და მისი წარმატებების შესახებ.
• სასურველია, მშობელმა თვალი მიადევნოს, რომ ბავშვნა იმ დღესვე შეასრულოს დავალება, რადგან მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა უპირველესად საშინაო დავალების შესრულებაზეა აგებული. იგი აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს და „აიძულებს“ მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გაკვეთილზე ათვისებული მასალა უახლოესი 10-12 საათის განმავლობაში უკვე “გვავიწყდება”, მასალის გაგებიდან პირველი საათის განმავლობაში გვახსოვს მხოლოდ 40%, 2-2,5 საათის შემდეგ – 28%. ასე რომ, საშინაო დავალება საშუალებას გვაძლევს, ცოდნა ოპერატიული მეხსიერებიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში გადავიტანოთ. მშობელი ეხმარება შვილს იმ დღესვე შეასრულოს დავალება და უფრო მყარი გახადოს მისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

საერთო რეკომენდაცია პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლებისთვის:

კომპეტენციის დეფიციტი და აზრთა სხვადასხვაობა მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლოებების შესახებ, მასწავლებლისა და მშობლის წარმოდგენათა განსხვავების გამო წარმოიშვება. მასწავლებელიც და მშობელიც უნდა შეთანხმდნენ, რომ ცოდნისა და უნარების შეფასება მასწავლებლის პრეროგატივაა, ხოლო თანამშრომლობა და ინფორმაციის შევსება - მშობლის.
• სასურველია, დავალების შესრულებისას, - მანამდე და შემდეგაც მათ ითანამშრომლონ ერთმანეთთან, გაარკვიონ ერთმანეთი მათთვის ნაცნობ საკითხებში და გაუზიარონ რჩევები და რეკომენდაციები.